

ბანმარტებითი ბარათი
„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“
კანონპროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის შესაბამისადაც – ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს პროექტი სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

წინამდებარე კანონპროექტი წარმოადგენს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმხლებ კანონპროექტს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონპროექტის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

თანახმად კანონპროექტისა „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლს ემატება მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობაზე მიღებული აქვს გარემოსდაცვითი ნებართვა ან სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართავს განცხადებით გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის მისაღებად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება დამატებით გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდეს იმ პირებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების და ექსპერტების, კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მომხდარა;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში ორგანიზაციებს (დაწესებულებებს) ან/და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ და შესაბამისად მათი მხრიდან კანონპროექტის შეფასება არ მომხდარა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.